საქართველოს
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისიის
აპარატი

GEORGIAN
NATIONAL ENERGY AND WATER
SUPPLY REGULATORY COMMISSION
STAFF

20/12/2021 N 3/01-7-10367 10367-3/01-7-2-202112201530

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“

გიგზავნით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 9 დეკემბრის N52/2 გადაწყვეტილებას.

დანართი: 15 ფურცელი.

ზურაბ გაბელაია

აღმასრულებელი დირექტორი

სს ENERGO-PRO GEORGIA
I.№ 8846699
22 12 20 21
JSC ENERGO-PRO GEORGIA

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია
ელექტრონული დოკუმენტის ასლი
„20“ „12“ „2021“ წ.
ძირითადი 1 დანართი 15 ფურცელზე
ხელმოწერა

0194 ქ. თბილისი. ა.მიცკევიჩის ქუჩა №19
19 A. Mitskevichi str. 0194 Tbilisi Georgia
ტელ./Tel.: (032)242-01-80
ფაქსი/Fax.: (032)242-01-60
ელ-ფოსტა: mail@gnerc.org
ვებ-გვერდი:www.gnerc.org

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №52/2

2021 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის შესაბამისობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 73-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულების მიზნით, რომლითაც გათვალისწინებულია ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ნაწილი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების ვალდებულება, სულ მცირე სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული მოწყობისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით და დამოუკიდებლობა სხვა ისეთი საქმიანობისგან, რომელიც განაწილებას არ უკავშირდება, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 28 დეკემბრის N80/1 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ (შემდგომში - კომპანია) მიერ წარმოდგენილი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების გეგმა. კანონის 73-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულია განცალკევებული და ავტორიზებული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ვალდებულება, შეიმუშაოს შესაბამისობის პროგრამა, რომლითაც განისაზღვრება დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებები და მათ განხორციელებაზე სათანადო ზედამხედველობის უზრუნველყოფა. ამავე პუნქტით დადგენილია, რომ შესაბამისობის პროგრამა დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად უნდა განსაზღვრავდეს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის თანამშრომელთა კონკრეტულ ვალდებულებებს.

გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ეფექტიანი განცალკევების მიზნით, კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესები“ (შემდგომში - განცალკევების წესები), რომელიც ადგენს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის შესაბამისობის პროგრამის შემუშავებისა და წარმოდგენის ვადებს, ასევე მისი დანერგვის შესაბამის პროცედურებს.

განცალკევების წესების მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია

გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ვალდებულება, კომისიის მიერ მასზე განაწილების ლიცენზიის გაცემიდან სამი თვის ვადაში, კანონითა და განცალკევების წესებით განსაზღვრული პირობების დაცვით, კომისიაში წარმოადგინოს შესაბამისობის პროგრამა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიამ, მასზე განაწილების ლიცენზიის გაცემის შემდეგ, განცალკევების წესებით დადგენილ ვადაში, 2021 წლის 11 აგვისტოს, N2330346 წერილით (კომისიაში რეგისტრაციის N8111/01) წარმოადგინა შესაბამისობის პროგრამა მასზე თანდართული დოკუმენტებით (შემდგომში - შესაბამისობის პროგრამა).

განცალკევების წესების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია თუ რა საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისობის პროგრამით, კერძოდ: (ა) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სამართლებრივი სტატუსის აღწერასა და კორპორაციულ სტრუქტურას, მათ შორის, ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოსთან ან მის სხვა შემადგენელ ნაწილთან კავშირზე მითითებას; (ბ) „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ წესების შესაბამისად, განცალკევების მოთხოვნების დანერგვისა და მათთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ მისაღებ/მიღებულ ზომებს; (გ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის საქმიანობისას დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს; (დ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ამ წესების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით შემუშავებულ ინფორმაციის გამეღავნების პროცედურას; (ე) შესაბამისობის პროგრამის დანერგვის პირობებს ამ წესების მე-17 მუხლის შესაბამისად. ასევე განცალკევების წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ კომისიაში შესაბამისობის პროგრამასთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტების, მონაცემებისა და ინფორმაციის ნუსხა.

კანონისა და განცალკევების წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილი შესაბამისობის პროგრამისა და მასზე თანდართული დოკუმენტების კომისიის მიერ შესწავლის შედეგად, იდენტიფიცირებულ იქნა კონკრეტული შენიშვნები და ხარვეზები, სრულად არ იყო წარმოდგენილი განცალკევების წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მონაცემები და ინფორმაცია, კერძოდ, არ იყო წარმოდგენილი: განცალკევების წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ენერგეტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოში ან/და სხვა ქვეყნებში მოპოვებული ლიცენზიების, ნებართვების ან/და სხვა სახის ავტორიზაციის ჩამონათვალი და შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები; განცალკევების წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებული, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ საქართველოში ან/და სხვა ქვეყნებში განხორციელებული ენერგეტიკული საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებსაც არ ესაჭიროება ლიცენზია, ნებართვა ან/და სხვა სახის ავტორიზაცია და წერილობითი განმარტება ამგვარი საქმიანობების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე; განცალკევების წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული, საქართველოში ან/და სხვა ქვეყნებში ენერგეტიკული სექტორის მონაწილე იმ საწარმოების ჩამონათვალი, რომლებიც არიან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ,

კონტროლის მეთოდისა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის შესაბამისი უფლებების მკაფიო მითითებით; განცალკევების წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საქართველოში ან/და სხვა ქვეყნებში ენერგეტიკული სექტორის მონაწილე იმ საწარმოების ჩამონათვალი, რომლებიც არ არიან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის აქციონერები/პარტნიორები და რომლებიც ახორციელებენ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს, კონტროლის მეთოდისა და შესაბამისი უფლებების მკაფიო მითითებით; განცალკევების წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის აქციონერების/პარტნიორებისა და ამ პუნქტის „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ენერგეტიკული სექტორის მონაწილე საწარმოების მიერ საქართველოში ან/და საქართველოსთან ენერგეტიკულად ურთიერთდაკავშირებულ ქვეყნებში ენერგეტიკული საქმიანობისათვის მოპოვებული ლიცენზიების, ნებართვების ან/და სხვა სახის ავტორიზაციის ჩამონათვალი; განცალკევების წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის აქციონერების/პარტნიორებისა და ამ პუნქტის „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ენერგეტიკული სექტორის მონაწილე საწარმოების მიერ საქართველოში ან/და საქართველოსთან ენერგეტიკულად ურთიერთდაკავშირებულ ქვეყნებში განხორციელებული ენერგეტიკული საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებსაც არ ესაჭიროება ლიცენზირება, ნებართვა ან/და სხვა სახის ავტორიზაცია და წერილობითი განმარტება აღნიშნული საქმიანობების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე. ასევე, შესაბამისობის პროგრამაზე თანდართული ზოგიერთი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი წესების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამოწმებული სახით.

კომისიის 2021 წლის 8 ნოემბრის N1/02-7-9111 წერილით კომპანიას განესაზღვრა ვადა შესაბამისობის პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად და წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების, მონაცემებისა და ინფორმაციის სრულყოფილი სახით წარმოსადგენად.

მიმდინარე წლის 19 ნოემბერს N5192875 წერილით კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა კომისიის მიერ მოთხოვნილი, წესების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, შესაბამისობის პროგრამაზე თანდართული დამატებითი მონაცემები და ინფორმაცია სრულყოფილი სახით, ასევე წესების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამოწმებული დოკუმენტები.

შეისწავლა რა კომპანიის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის პროგრამა და მასზე თანდართული დოკუმენტები, მონაცემები და ინფორმაცია, კომისია მიიჩნევს, რომ იგი შეესაბამება კანონის 73-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და წესების მე-14 და მე-15 მუხლებით გათვალისწინებულ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის შესაბამისობის პროგრამის შემუშავების და დანერგვის უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 73-ე მუხლების, აგრეთვე, კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცებული „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების" მე-3 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა

ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" მიერ წარმოდგენილი სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" შესაბამისობის პროგრამა ამ გადაწყვეტილების დანართის შესაბამისად.
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს კომისიის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის პროგრამის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ვებგვერდზე გამოქვეყნება.
3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), მისი ოფიციალური გაცნობიდან (გადაწყვეტილების მხარეებისათვის ჩაბარებიდან) 1 (ერთი) თვის ვადაში;
5. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას"

შესაბამისობის პროგრამა

ელექტროენერგიის განაწილებაში ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და დისკრიმინაციის პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით.

თბილისი, 2021 წელი

სარჩევი

1. შესავალი 3

1.1. პროგრამის მიღების სამართლებრივი საფუძველი 3

1.2. პროგრამის მიზანი 3

2. შიდა პროცესები 4

3. კომპანიის შესახებ ინფორმაცია და განცალკევების საფუძველი 4

3.1. სამართლებრივი განცალკევება 5

3.2. ფუნქციური განცალკევება 6

3.3. მენეჯმენტი 6

3.4. იდენტობა 6

3.5. ფინანსური და ბუღალტრული განცალკევება 7

4. ანტიდისკრიმინაციული ზომები და ინფორმაციის დაცვა 7

5. საერთო მომსახურებების გაწევა 9

6. ინტერესთა კონფლიქტი 9

7. პროგრამის განხორციელება და შესაბამისობის ოფიცერი 9

8. ძალაში შესვლა 10

1. შესავალი

აღნიშნული შესაბამისობის პროგრამა მიზნად ისახავს ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ გაწეულ მომსახურებებთან ელექტროენერგეტიკული ბაზრის ყველა მონაწილისთვის თანაბარი და გამჭვირვალე წვდომის უზრუნველყოფას. წინამდებარე პროგრამა განსაზღვრავს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" (შემდგომში-კომპანია) თანამშრომლების შესაბამის ვალდებულებებს და დისკრიმინაციული ქცევის პრევენციულ ზომებს.

1.1. პროგრამის მიღების სამართლებრივი საფუძველი

- კომპანიის წინამდებარე პროგრამა შემუშავებული იქნა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საქართველოს კანონის 73–ე მუხლის, მე–6 ნაწილის და სემეკის 2020 წლის 16 ივლისის # 39 დადგენილებით დამტკიცებული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების შესაბამისად.

- შესაბამისობის პროგრამა, კომისიის მიერ მისი დამტკიცების შემდგომ, წარმოადგენს კომპანიისთვის შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროგრამის ყველა მოთხოვნისა და პირობის დაკმაყოფილება, მათ შორის, პასუხისმგებელი პირების მიერ პროგრამის შეუსრულებლობის/დარღვევის შემთხვევაში, მათთვის შესაბამისი სანქციების დაკისრება

- შესაბამისობის პროგრამის სათანადო დებულებები, კომპეტენციის ფარგლებში, ასევე სავალდებულოა კომპანიის კონტრაქტორებისა და კონსულტანტებისთვის (აუდიტორებისთვის). კომპანიამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პირების მიერ შესაბამისობის პროგრამის სათანადო დებულებების დაცვა.

1.2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- კომპანიის მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

- შესაბამისობის პროგრამით დადგენილი პირობების კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებისა და კომპანიის მიერ დასაქმებული პირების, აგრეთვე, უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესრულება.

2. შიდა პროცესები

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, რომ შიდა საოპერაციო და საორგანიზაციო პროცესებმა არ დაუშვან ცალკეული ბაზრის მონაწილეების შეღავათიანი მომსახურება სხვა ბაზრის მონაწილეების საზიანოდ.

3. კომპანიის შესახებ ინფორმაცია და განცალკევების საფუძველი

- ენერგო–პრო ჯგუფი აერთიანებს ელექტროენერგიის გენერაციისა, მიწოდების და დისტრიბუციის კომპანიებს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ბულგარეთში, საქართველოსა და თურქეთში, ასევე ფლობს სლოვენიაში ჰიდროგენერაციის ტურბინებისა და ელექტრული ინსტალაციების ქარხანას და ჰიდროელექტროსადგურების საპროექტო კომპანიას (ჩეხეთში).

- ენერგეტიკული აქტივების პირდაპირი წესით ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, 2007 წელს საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე შემოსვლისას კომპანიამ შეიძინა 6 საშუალო ზომის ჰიდროელექტროსადგური (აწჰესი, რიონჰესი, გუმათ ჰესების კასკადი, ძევრულჰესი, შაორჰესი და ლაჯანურჰესი) და ორი ენერგო სადისტრიბუციო კომპანია (აჭარის ენერგო კომპანია და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგო კომპანია). მოგვიანებით კი, ჩამოყალიბდა ელექტროენერგიის წარმოებისა და განაწილების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კომპანიად. 2016 წელს დაიწყო და იმავე წლის 23 დეკემბერს დასრულდა კომპანიის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც კომპანიას გამოეყო ერთი იურიდიული პირი - სააქციო საზოგადოება „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია". გამოყოფის შედეგად, სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციას" გადაეცა კომპანიის უძრავ–მოძრავი ქონების ის ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა ელექტროენერგიის წარმოების საქმიანობაში და წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ უფლება-მოვალეობაში, გარიგებასა თუ სამართალურთიერთობაში.

- კომპანია 2017 წლის 1 აგვისტოს, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" სამეურვეო ქონების რეალიზების მიზნით, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამართულ აუქციონში, გამარჯვებული გახდა და შეიძინა აღნიშნული სამეურვეო ქონება.

- ამასთანავე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით ცვლილებები შევიდა კომპანიის ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიაში და მისი განაწილების არეალს დაემატასს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" არეალი, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან.

- შესაბამისად, კომპანია 2017 წლის 1 სექტემბრიდან უზრუნველყოფს კახეთის ტერიტორიაზე მომხმარებლების ელექტროენერგიით მომარაგებას.

კომპანიის საქმიანობის განცალკევება განხორციელდა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საქართველოს კანონის 73–ე და 160-ე მუხლების შესაბამისად. ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ანტიდისკრიმინაციულ პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ მოახდინა განცალკევება შემდეგ ენერგეტიკულ საქმიანობებში: ელექტროენერგიის განაწილება, წარმოება, ელექტროენერგიის მიწოდება. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია (სერია 14, #059) გაიცა სემეკის 2021 წლის 13 მაისის #20/2 გადაწყვეტილებით.

3.1. სამართლებრივი განცალკევება

სემეკის მიერ განცალკევების გეგმის დამტკიცების შემდგომ კომპანიამ განახორციელა სამართლებრივი განცალკევება. კერძოდ არჩეული იქნა ე.წ ჰოლდინგური სტრუქტურა, რომელიც გამოიყურება შემდეგნარიად



3.2. ფუნქციური განცალკევება

ელექტროენერგიის ბაზარზე ყველა მონაწილისთვის ელექტროენერგიის განაწილებისას ობიექტურობის, ანტიდისკრიმინაციული ქცევისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს ელექტროენერგიის განაწილებას, რომელიც დამოუკიდებელია ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს სხვა საქმიანობებისგან.

კომპანიის წესდების შესაბამისად მხოლოდ მის მართვაზე პასუხისმგებელ პირებს აქვთ უფლება ჩაერიონ კომპანიის მიერ ფუნქციების შესრულებაში. სხვა პირების მხრიდან რაიმე ტიპის ჩარევა კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობებში დაუშვებელია.

ყველა ოპერატიულ გადაწყვეტილებას გამანაწილებელი სისტემის მართვასთან, ექსპლუატაციასთან და განვითარებასთან დაკავშირებით იღებენ მხოლოდ კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი პირები არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვით, სხვა ელექტროენერგეტიკული ბაზრის მონაწილეების და ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოებისგან სხვა ენერგეტიკულ საქმიანობებში ჩარევის გარეშე.

გამანაწილებელი ქსელის ოპერირების, ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის ფინანსური აქტივების დამტკიცებასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას იღებენ უშუალოდ კომპანიის ხელმძღვანელები იმ პირობით, რომ ცალკეული გადაწყვეტილებები უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოსა და კომპანიაში აქციონერის მიერ.

3.3. მენეჯმენტი

მენეჯმენტის განცალკევების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრები, ამ პროგრამის ფარგლებში:

- არ მონაწილეობენ ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს კორპორაციულ სტრუქტურებში შემავალი იმ საწარმოების მართვაში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებელია წარმოების, გადაცემის, მიწოდების ან/და ვაჭრობის ყოველდღიური საქმიანობისთვისმოქმედებენ და იღებენ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად;
- არიან დამოუკიდებელნი ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ინტერესებისგან, რომელსაც ის ეკუთვნის ან დაკავშირებული კომპანიის ინტერესისგან, სისტემის ოპერირების, ექსპლუატაციის და განვითარებისთვის საჭირო ფინანსურ სახსრებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას.

3.4. იდენტობა

- კომპანიის იდენტობა მიმწოდებლის და გენერაციის კომპანიების იდეტნობისგან არის და იქნება გამიჯნული, როგორც ბრენდირების, ასევე აღჭურვილობის და ყველა შესაბამისი ატრიბუტის გათვალისწინებით.

- კომპანია აბონენტებთან ურთიერთობს და მათ მომსახურებას განახორციელებს საკუთარი ვებ. გვერდის და ინდივიდუალური ქოლ. ცენტრის მეშვეობით. კომპანიას ექნება საკუთარი ლოგო, ბლანკი და ა.შ.

3.5. ფინანსური და ბუღალტრული განცალკევება

- კომპანია ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოამზადოს, აუდიტორს დასამოწმებლად წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ფინანსური ანგარიში.

- კომპანია ვალდებულია ენერგეტიკული და, შესაბამის შემთხვევებში, არაენერგეტიკული საქმიანობისთვის იქონიოს განცალკევებული ანგარიშები. დასაშვებია აღნიშნული ანგარიშების კონსოლიდაცია.

- კომპანია ვალდებულია დაწერგოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული ერთიანი საბუღალტრო-საანგრიცხვო სისტემა.

4. ანტიდისკრიმინაციული ზომები და ინფორმაციის დაცვა

მომსახურების გაწევის ვალდებულების შესრულებისას ობიექტურობის, გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით, კომპანია კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულია შეასრულოს შემდეგი წესები:

- კომპანია დამოუკიდებელია ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების შესრულებაში;

- გამანაწილებელი ქსელის გამოყენება უნდა განხორციელდეს გამანაწილებელ ქსელზე დაშვების/ წვდომის დადგენილი წესების შესაბამისად;

- კომპანია ოპერირების ფარგლებში, ვალდებულია მიიღოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული ყველა ზომა ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;

- ყველა ბაზრის მონაწილემ უნდა მიიღოს თანაბარი მომსახურება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

- იკრძალება, მომხმარებელთა მიმართ დისკრიმინაცია.

- გამანაწილებელ ქსელზე მიერთება უნდა შესრულდეს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად;

- კომპანიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია, ქსელის ყველა ფაქტიურ თუ პოტენციურ მომხმარებელს, რომლებიც სარგებლობენ ან აპირებენ ისარგებლონ

გამანაწილებელი ქსელით, მოემსახუროს არადისკრიმინაციულად და შესთავაზონ მათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანაბარი პირობები. არადისკრიმინაციული დამოკიდებულება მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ქსელთან მიერთებას.

- ელექტრომომარაგების შეწყვეტა უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.
- გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაცია და განახლება უნდა განხორციელდეს სემეკის მიერ დამტკიცებული საინვესტიციო გეგმების შესაბამისად.
- ოპერირების პროცესში კომპანიის მიერ მომხმარებლებისგან მიღებული კომერციული მონაცემების და ინფორმაციის კონფიდენციალურობა უნდა იყოს გარანტირებული მოქმედი კანონდმებლობის თანახმად.
- კომპანია;

  ა) შეიმუშავებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და მისი გამოყენების პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს შესაბამისობის პროგრამის ნაწილს და განსაზღვრავს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებისა და კომპანიის მიერ დასაქმებული პირების მკაფიო ვალდებულებებს, აგრეთვე, ითვალისწინებს მათ პირად პასუხისმგებლობას აღნიშნული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;

  ბ) უზრუნველყოფს მის ხელთ არსებულ საოპერაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე შეზღუდულ წვდომას. წვდომა შეიძლება მიეწიჭოთ მხოლოდ იმ უფლებამოსილ დასაქმებულ პირებს, რომელთაც შიდაორგანიზაციული აქტებითა და შრომითი ხელშეკრულებით ეკისრებათ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება;

  გ) უზრუნველყოფს შენობების, აღჭურვილობების, მოწყობილობებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების უსაფრთხოებას, კონფიდენციალურ ინფორმაციაზე არაუფლებამოსილი წვდომის თავიდან აცილების მიზნით.
- ოპერირების პროცესში მიღებული საიდუმლო და კონფიდენციალური ინფორმაციის ნებისმიერი ბოროტად (არადანიშნულებისამებრ) გამოყენება სარგებლის მიღებისა ან მესამე მხარეების სასარგებლოდ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების მიზნით დაუშვებელია. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ვალდებულება არ ვრცელდება შემდეგი სახის ინფორმაციაზე:
  - საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია;
  - ინფორმაცია, რომლის გაცემაზე არსებობს უფლებამოსილი პირის წერილობითი თანხმობა.
  - ენერგეტიკული საქმიანობის განხორციელებისთვის ლიცენზიის თანახმად ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაცია;

- კანონდებლობით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.

5. საერთო მომსახურებების გაწევა

ელექტროენერგიის საბოლოო ფასზე ზეწოლის შემცირების მიზნით, რესურსების ოპტიმიზაციის და არასაკმარისი ადმინისტრაციული პერსონალის გამო მიზანშეწონილია და აუცილებელია კომპანიამ სემეკთან სათანადო წესით შეთანხმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურებები, რაც პირდაპირ არ უკავშირდება განაწილებასთან დაკავშირებულ ძირითად მომსახურებებს, როგორც სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგისგან", ასევე მესამე პირებისგან.

საერთო მომსახურებების გაწევა ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც გარანტირებულია როგორც კონფიდენციალური ინფორმაციის დაცულობა, ისე განაწილების ლიცენზიანტის მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და ა.შ

6. ინტერესთა კონფლიქტი

კომპანიის ფარგლებში ნებისმიერი კორუფციული გარიგება დაუშვებელია. კომპანიამ უნდა მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ არ დაუშვას კორუფცია და ინტერესთა კონფლიქტი. კომპანიის თითეული თანამშრომელი ვალდებულია განაცხადოს კორუფციულ ქცევაზე და ინტერესთა კონფლიქტზე მისი აღმოჩენისთანავე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება კომპანიის შიდა პოლიტიკებით.

7. პროგრამის განხორციელება და შესაბამისობის ოფიცერი

- კომპანია ვალდებულია განახორციელოს პროგრამა უწყვეტ რეჟიმში.
- შესაბამისობის ოფიცერი არის ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, მათ შორის, შესაბამისობის პროგრამის დაწერგვას, შესაბამის ტრენინგების ორგანიზებას და შესრულების მონიტორინგს. შესაბამისობის ოფიცერი კომისიის წინასწარი თანხმობით უნდა დაინიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორის მიერ წესდების შესაბამისად.
- შესაბამისობის ოფიცერის მოვალეობებია:
  - შესაბამისობის პროგრამის ეფექტურობის მონიტორინგი და ანგარიშგება,
  - აკონტროლი და შეაფასეს პროცესები, შეადაროს კანონდებლობის მოთხოვნებს და შეადგენოს შესაბამისი ანგარიშები.
  - მოახსენოს შესაბამისობის ანგარიში კომპანიის ხელმძღვანელობას,
  - რჩევებისა და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისობის პროგრამის პრაქტიკაში დაწერგვის და გატარების მიზნით.

- შესაბამისობის პროგრამის დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური სახდელების შესახებ წინადადებების შემუშავება და მოხსენება კომპანიის ხელმძღვანელობისთვის.
- დასაქმებულების / მომხმარებლების (აბონენტის) მხრიდან საჩივრის მიღება და გამოკვლევა რეალური ან საეჭვო დისკრიმინაციის, დავების, შეკითხვებისა და შესაბამისობის პროგრამის დარღვევის შემთხვევაში.
- რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემა, რომელიც საჩივრების გამოკვლევის შედეგად გამოიკვეთა.
- არსებული და კომპანიის ახალი თანამშრომლების ტრენინგის ორგანიზება და ჩატარება შესაბამისობის საკითხებზე.
- ეფექტური აღსრულების მონიტორინგი იმისა, რომ კომპანიის მიერ მიღებული პროცედურები და პრაქტიკა შეესაბამება თუ არა შესაბამისობის პროგრამას.
- ზეპირად ან წერილობით რეგულარულად აცნობოს მარეგულირებელს, დამოუკიდებლობის ხარისხის შესახებ, შესაბამისობის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებითი დარღვევების შესახებ.
- მარეგულირებლისთვის და კომპანიის ხელმძღვანელობისთვის წლიური შესაბამისობის ანგარიშის შემუშავება და წარდგენა, შესაბამისობის პროგრამის განსახორციელებლად გატარებული ზომების განსაზღვრა.

- შესაბამისობის ოფიცერი უფლებამოსილია:
  - დაუბრკოლებლად, წინასწარი შეთანხმების გარეშე, ნებისმიერ დროს ჰქონდეს წვდომა კომპანიის ოფისებზე, დაცულ ყველა ინფორმაციაზე (მონაცემები, დოკუმენტები), მონაცემთა აღრიცხვის, დამუშავების ან შენახვის შესახებ ყველა სისტემაზე, ნებისმიერი პირის მომსახურებაზე, რომელიც არის (მიუხედავად მათი ძირითადი საქმიანობისა) კონტრაქტორი, ან ქვეკონტრაქტორი და რომელიც ეწევა გამანაწილებელ ქსელთან დაკავშირებულ საქმიანობას.
  - დაესწროს კომპანიის მენეჯმენტის ან ადმინისტრაციული ორგანოების ყველა შეხვედრას.

8. ძალაში შესვლა

- აღნიშნული პროგრამა შედის ძალაში მარეგულირებელი ორგანოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან;
- მარეგულირებელი ორგანოს მიერ პროგრამის ძალაში შესვლის შემდეგ, კომპანია უზრუნველყოფს შიდა დოკუმენტაციის წიწამდებარე შესაბამისობის პროგრამასთან

შესაბამისობაში მოყვანას, შესაბამისობის პროგრამის მოთხოვნების შესახებ თანამშრომლების ინფორმირებას და მოითხოვს მათგან პროგრამაში განსაზღვრული პრინციპების დაცვას. ამ პროგრამის დებულებების დარღვევის შემთხვევაში, კომპანიის თანამშრომლებს დაეკისრებათ დისციპლინარული პასუხისმგებლობა კომპანიის შიდა აქტების შესაბამისად.